ხელშეკრულება N 6
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი **22 იანვარი 2024 წელი**

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის არჩილ სირაბიძის სახით, მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2021 წლის 02 დეკემბრის N01-01-6/48 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „ტელეიმედი“, წარმოდგენილი დირექტორის ზაქარია გელაშვილის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის შედეგად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, (კლასიფიკატორის კოდი - 92400000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. შესყიდვის ობიექტია: საინფორმაციო მომსახურება.
1.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4950** ლარს.
1.3. მომსახურების ერთი თვის ღირებულება შეადგენს 450 ლარს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.
2.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - II სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი თამარ დიასამიძე.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2024 წლის 01 თებერვლიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში.
3.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსებაზე imedinews.ge-ზე (ჯამში 60 რელიზი);

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. შესყიდბის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ან შესაბამისი სხვა დოკუმენტის გაფორმებით.
4.2. შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ფინანსური დოკუმეტაცია.

4.3. შემსყიდველი მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - II სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი თამარ დიასამიძე.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო (ფინანსური) დოკუმენტაციის (არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ანგარიშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტაციის გამოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

9.1. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მიმწოდებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

9.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შემსყიდველს უფლება აქვს ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ ასრულებს (არღვევს) წინამდებარე ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს, მათ შორის: 1. მიმწოდებლის მხრიდან მომსახურება მიმდინარეობს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევით; 2. მიმწოდებლის მიერ გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს;

9.3. შემსყიდველს და მიმწოდებელს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

10. ფორს მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის

გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. სხვა პირობები

15.1. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ასლი არის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	შპს „ტელეიმედი“
ტელ: (+995) (222) 7-35-10	ტელ: (+995) (322) 46-30-88
მისამართი: ქ. ბათუმი,	მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი
მ. კომახიძის ქუჩა N119	საბანკო რეკვიზიტები:
	ს.ს. „საქართველოს ბანკი“
	ბანკის კოდი – BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი	ა/ნ – GE77BG0000000469460800
245429200	საიდენტიფიკაციო კოდი - 202188612
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი:
არჩილ სირაბიძე	ზაქარია გელაშვილი

Archil Sirabidze

Digitally signed by Archil Sirabidze
Date: 2024.01.22 17:32:13